

26/08/2024



MES 6 24 0001012371

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2024 წლის **22 აგვისტოს 11:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბეჭირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ელენე კაკაბაძე,
- ვალერი ჯაჯანიძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ნანა შარაბიძე
- თამთა კვინიკაძე
- მიხეილ ხუციშვილი
- მაია თოიძე
- ლელა მაისურაძე
- ზურაბ მესხიძე
- ლევან მადათოვი
- ნანა ნატროშვილი
- ზაალ ხელაძე
- თაბუკა ციმინტია
- გიორგი მამასახლისი
- თინათინ მეფარიშვილი
- ნანა ვერულაშვილი
- ნინო ვასაძე
- თეა ნარეკლიშვილი.
- ქეთევან ბოტკოველი
- გიორგი ნაჭყეპია
- ირმა ქორთუა
- ლელა სამხარაძე.

- თამარ გიორგობიანი
- ქეთევან ღვანიძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ხათუნა მაისაია
- ქეთევან ჯანელიძე
- თამილა გრძელიშვილი
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- მედეა ზურაბიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

დირექტორი - კობა მახათაძე;
 ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე - დავით მაზმიშვილი;
 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - მარიამ ქადარია;
 იურიდიული სამსახურის უფროსი - მევლუდ კუხიანიძე;
 საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის უფროსი - ნათია გაბელია;
 პერსონალის მართვისა და უწყვეტი განვითარების სამსახურის უფროსი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - დავით აბაზაძე;
 პერსონალის მართვისა და უწყვეტი განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - ჯიმშერ მაისურაძე.

შპს მსოფლიო განათლების აკადემია

დირექტორი - მარიამა რომანოვა;
 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - უჩა გელხვიძე;
 სასწავლო პროცესის მენეჯერი - ნინო ბერელიძე;
 საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - ნათია კონცელიძე;
 სასტუმრო მომსახურების პროგრამის ხელმძღვანელი - თეიმურაზ გვიჩიანი.

შპს "თენექსი"

დირექტორი - ნიცა მდივანი;
 ხარისხის მენეჯერი - ნინო ბერელიძე;
 პროგრამის ხელმძღვანელი - ნუკრი ტუსიშვილი;
 პროგრამის ხელმძღვანელი - დიმიტრი ობოლაძე;
 საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - თამთა ჭალიძე.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტისა და განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ნანა ქაშაკაშვილი;
 პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი - ნესტან ინასარიძე;
 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით წასიძე;
 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნიკა გიგაური;
 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - გიორგი ტომარაძე;
 ენერგომენეჯმენტის უმაღლესი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან რუხაძე;
 ენერგომენეჯმენტის უმაღლესი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - გიორგი აბულაშვილი;

განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის უმაღლესი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი -თორნიკე ბახტურიძე;

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი - ნუკრი მელექსიშვილი.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

დირექტორი - თეიმურაზ ლორთქიფანიძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო მაგანია.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

დირექტორი - სოფიო მაჭარაშვილი;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ალინა კუპრავა;

ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლის პროექტის განათლების ექსპერტი - ნინო თამაზაშვილი;

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ზურა ლობჟანიძე;

რექტორის მოადგილე - ილია იაკობაშვილი;

სასწავლო პროცესის მენეჯერი - თეონა ყურბარაძე;

შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი - ალექსანდრე დოლაძე;

ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან კესარელი;

ვებტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი - გაიოზ კუპრაშვილი;

რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის პროგრამის ხელმძღვანელი- მაია ჭანტურია.

სსიპ კოლეჯი "სპექტრი"

დირექტორი - როინ ტაკიძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ ხატიაშვილი;

ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (მომზადება-გადამზადების პროგრამების კოორდინატორი) - თამარ ლომიძე.

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

დირექტორი - მახირ ბაირამოვი;

დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) - ირმა ლომაია;

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - საბინა კაზიმოვი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 11:00 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს "თენექსის" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
8. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
9. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
10. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
11. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
12. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის“ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
13. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
14. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
15. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე);
16. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
17. სსიპ კოლეჯი "სპექტრის" მიერ „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის“ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

18. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

19. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

20. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

21. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში ვიზიტის შესახებ, შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, ჯგუფის წევრები: ვალერი ჯაჯანიძე და მანანა მოისწრაფიშვილი) მიერ 2024 წლის 19, 20 და 21 ივნისს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში (მის. ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N 14 ა) ავტორიზაციის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 3.1.1.3. აუცილებელია წარმოდგენილ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, გაიწეროს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის დანართში N 6 „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ გაწერს შესაბამის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს. დოკუმენტის განხორციელების ვადად მითითებული არის 7 აგვისტო. განახლებული დოკუმენტი ატვირთული იქნება აკადემიის ვებ- გვერდზე და მოხდება ინფორმაციის დეტალურად მიწოდება დაწესებულების პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის. მტკიცებულების სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პროცესი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.3. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განხორციელდეს დოკუმენტის გაწერა, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.

ინდიკატორი 5.2.2.2. დაწესებულების მართვაში არ გამოიყენება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა „ პსდ- ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის“ არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, აპირებს, რომ ი-ფლოუში ჩაერთოს და დაიწყოს ელექტრონული საქმისწარმოება მას შემდეგ რაც პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ივეტში აისახება მათ ორგანიზაციაზე ინფორმაცია ავტორიზაციის დასრულების შემდგომ. აღნიშნული გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2. შეფასდა მეტწილად შესაბამისად. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - ელექტრონულ საქმისწარმოებაში ი-ფლოუში ჩაერთოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაწესებულების მიერ „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამის განმახორციელებელი პირების უმრავლესობას არ უდასტურდებათ პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა „ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ არა იყო დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის“ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის N 121 ბრძანების შესაბამისად, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების პროფესიული კომპეტენციის ამდლების სწავლება ჩატარდა 2024 წლის 22, 23 და 24 ივნისს. დადოკუმენტირდა ტრენინგზე დასწრების ოქმი. აღნიშნულ ტრენინგზე დაიფარა შემდეგი საკითხები:

- კოლეჯის ფუნქციონირების საკანონმდებლო მოთხოვნები;
- კოლეჯის ფუნქციონირების სახელმძღვანელო, მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული მასწავლებლის ვალდებულებები;
- მოდულური სწავლება;
- თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდები;
- კალენდარული გეგმა;
- სტუდენტების შეფასება (შუალედური და დასკვნითი).

დაწესებულებას ტრენინგის გეგმის მიხედვით კოლეჯის მასწავლებლების პროფესიულ მასწავლებლად დახელოვნების მიზნით დაგეგმილი აქვს ტრენინგების მორიგი ციკლი სასწავლო პროცესის დაწყებამდე აგვისტოს 8-9 რიცხვებში. ასევე, კოლეჯის დირექტორის N121-1 ბრძანებით შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“-ის კოლეჯში პროფესიული მასწავლებლების პოზიციაზე აყვანილი ნებისმიერი მასწავლებლისთვის სავალდებულოდ განისაზღვრა 15 საათიანი ტრენინგის ჩატარების ვალდებულება და შიდა სერტიფიცირება პროფესიული მასწავლებლის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, რაც განხორციელდება ნებისმიერი ახლად-აყვანილი მასწავლებლის შემთხვევაში. ექსპერტებმა გაითვალისწინეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და კომპონენტი 2.2. შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.2.1. სასურველია მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს ის ფაქტორები/მიზეზები რამაც შესაძლოა განაპირობოს არაგეგმიური მონიტორინგის საჭიროება.

ინდიკატორი 3.1.1.5. სასურველია, მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი ჩანაწერი „პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში“ დაკორექტირდეს შემდეგნაირად „პროფესიული სტუდენტი ჩართული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.“ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და 7 აგვისტომდე მოახდენს დოკუმენტის კორექტირებას. აღნიშნული კი ასახული აქვს შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 3.2.1.2. სასურველია, დაკონკრეტდეს თუ რომელი სამსახური შეასრულებს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის ბრძანებით 7 აგვისტომდე განხორციელდება დოკუმენტის განახლება და განისაზღვრება სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის განსაზღვრა. აღნიშნული კი გათვალისწინებულია აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 3.2.1.4. სასურველია, დამატებით გაიწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, 7 აგვისტომდე გაიწერება

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით.

ინდიკატორი 4.1.1.1 სასურველია, დებულება და სტრუქტურა მოიცვანონ ერთმანეთთან შესაბამისობაში. დაწესებულებას აქვს სამსახურები და მხოლოდ სამსახურის უფროსის პოზიციები. სასურველია სამსახურში მინიმუმ ორი პოზიცია იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის ნაცვლად უნდა ჰქონდეს მენეჯერის პოზიცია. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, სამსახურებში სადაც ერთი პირი იყო წარმოდგენილი დამატებით მეორე პირის აყვანასთან დაკავშირებით და 4 აგვისტომდე მოხდება პროცესის დასრულება. აღნიშნული გათვალისწინებული არის აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 4.1.2.3 სასურველია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პირადი საქმეების მოწესრიგება და სრულყოფა. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისობის გეგმით 14 აგვისტომდე უზრუნველყოფს პირადი საქმეების მოწესრიგება/სრულყოფას.

ინდიკატორი 2.2.1.2 ვინაიდან დაწესებულება გეგმავს ერთდროულად სწავლება განახორციელოს 3-3 ჯგუფად თითო ნაკადში, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში, სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, დაიწყო პროცესი, რომ გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, რაც დასრულდება 1 თვის პერიოდში. აღნიშნული კი დაწვრილებით არის გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრმა“ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ 19 ივლისს გაგზავნილ (წერილი N# MES 8 24 0000886311) დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ასევე წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი: იდენტიფიცირებული სრული შეუსაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შესაბამისობის ტიპი (მეტწილი/ნაწილობრივი), შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, დაწყების სავარაუდო თარიღი, დასრულების სავარაუდო თარიღი, დრო (თვეებში) შეფასების მომენტიდან დასრულებამდე, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, მატერიალური რესურსები, დამატებით საჭირო მატერიალური რესურსები, დამატებით საჭირო მატერიალური რესურსის გამოყენების ფორმა, შესრულების ინდიკატორები, დადასტურების წყარო, რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა %, შენიშვნა. ავტორიზაციის ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რაც ასახეს დასკვნაში შესაბამის ხარვეზებთან და განმავითარებელ ღონისძიებებთან მიმართებაში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი

დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით (2030 წლის 4 მარტის ჩათვლით) გადაცემული აქვს ფართი ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. N 14-ში, შენობის მე-4 სართულზე, სულ 565.91 კვ.მ. შენობაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდება, ცენტრალური გათბობა, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის, კერძოდ, ლიფტი და სველი წერტილი. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო

ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები). დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს სტუდენტზე მიმართული ყველა სერვისით, თანასწორ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით. ხელმისაწვდომობის ფარგლები ასევე რეგულირებულია დაწესებულების - მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესით. წესის გაცნობას დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური სასწავლო წლის დაწყებისას, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის და სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურის ფუნქციებია დაწესებულებაში წესრიგის დაცვა და დარღვევების პრევენცია; შენობისა და ინვენტარის დაცვა; ვიზიტორების შენობაში შესვლისა და გასვლის კონტროლი; დაცვის ტექნიკური საშუალებების - ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის მონიტორინგი; უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების შენობა-ნაგებობის გარე და შიდა განათების გამართულ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება. შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს, თუ როგორ მოხდება სასწავლო პროცესის საჭირო მასალებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა”, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის. გეგმით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციის სახეები, რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ინსტრუქციები, სპეციფიკური პროცედურები და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარებას. სამსახურის ფუნქციებია: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ახალი სისტემური პროგრამული საშუალებების დანერგვა; სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა; ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისები, ელექტრონული ფოსტა) მომსახურების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აპარატული (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა) უზრუნველყოფა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული

ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც სავალდებულოა დაწესებულების სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირისათვის, ვისაც გააჩნია წვდომა კომპიუტერულ, ქსელურ და საინფორმაციო რესურსებზე და ითვალისწინებს: ინფორმაციულ უსაფრთხოებას, მონაცემთა დაცვას, უსაფრთხოების ინციდენტებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, მომხმარებლის ანგარიშის წვდომის უფლებას, ელექტრონულ ფოსტას, კონფიდენციალურობის დაცვას, ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისაგან დაცვას, ელექტრონულ მონაცემთა მართვას და კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგს. IT რისკების მართვას უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და IT პროცესების სისტემის ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას. ადმინისტრირებასა და გამოყენებაზე მონიტორინგს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. დაწესებულება არ ახორციელებს საერთაშორისო/ უცხოენოვან პროგრამებს. შესაბამისად დაწესებულების ვებ-გვერდი ქართულენოვანია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: სამუშაოს/მომსახურების დასახელებას, საცალო ღირებულებას, რაოდენობას და ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია. დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტში გაწერილია საოპერაციო ხარჯები, კერძოდ: ოფისის იჯარა, კომუნალური ხარჯი, საკომუნიკაციო ხარჯი და საკანცელარიო ხარჯი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის ყოველთვიურ თანხებს. დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში დაადგენს ფინანსურ ანგარიშს და ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით ატვირთვას პორტალზე. დაწესებულების ფინანსური სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მონაწილეობას იღებდა დაწესებულების სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების შემუშავებაში და ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ნაწილში თანამშრომლობდა დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებთან. დაწესებულება შეაფასებს რა საკუთარ ფინანსურ მდგრადობას შესაბამისად აპირებს დაგეგმოს მომავალი წლის ბიუჯეტი. დაწესებულება წლის ბოლოს გეგმავს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ბიუჯეტთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება წინა წლის აუთვისებელი თანხები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“

შპს “ უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს” შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად არის შემუშავებული პროგრამა. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრის, პროგრამის ხელმძღვანელისადმი, ძირითადი დოკუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და პროგრამის შემუშავებისთვის განსაზღვრებული პროცედურების წესები და პირობები. უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვისა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა და ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ სწორად არის განსაზღვრული აღნიშნულ

დარგში კადრების მოთხოვნაზე რეალური ვითარება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. აკადემიას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დოკუმენტის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით). აკადემიას აღნიშნული მიდგომით წარმოდგენილი ჰქონდა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 172 პროფესიული სტუდენტი, რომლის დასაბუთება არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობით ვერ შეძლო და გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მიიღოს 144 პროფესიული სტუდენტი 3-3 ჯგუფად თითო ჯგუფში 24-24 პროფესიული სტუდენტით, ინფორმაციულ წიგნიერებაზე ჯგუფის გაყოფის პირობით. აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს სააუდიტორიო ფართი, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. თუმცა, თითოეული სალექციო ფართი მოწყობილია 24-24 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო 1 B სასწავლო გარემო 12-12 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელშიც განხორციელდება მოდულის „ინფორმაციული წიგნიერების“ სწავლება ჯგუფების გაყოფის პირობით, ჯამში 2 წლის მანძილზე 144 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ნაცვლად 172 პროფესიული სტუდენტისა. სივრცეები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური რესურსით. აკადემიას საწარმოო პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პრაქტიკის 4 ობიექტთან.

დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურად აქვს განსაზღვრული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. პროფესიულ პროგრამაზე ზღვრული ოდენობის შემცირებასაც დაეთანხმნენ და ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ 144 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის “შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 144 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 მიღებაზე, თითო მიღებაზე მაქსიმ 3-3 ჯგუფი, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობით 24-24 და არა, დაწესებულების მიერ დადგენილი 172 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს განხილული იქნა აღნიშნული საკითხი და დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა მოსაზრებას. კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 3 A C და 1 B სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის

აუცილებელი რესურსებით. კერძოდ, 3 A C სასწავლო გარემო (თითოეული 24-24 პროფესიული სტუდენტისთვის), 1 B სასწავლო გარემო (12-12 პროფესიული სტუდენტისთვის ჯგუფების გაყოფის პირობით), რომელიც გამოიყენება მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელებისთვის. კოლეჯის სააუდიტორიო ფონდში გამოიყენება გრძელვადიანი პროგრამებისა და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართები. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის გზით დასამატებელი პროგრამის კონტენტში 144 პროფესიულ სტუდენტამდე შემცირებული ქვოტის ფარგლებში სააუდიტორიო ფონდის გამტარუნარიანობა ეჭვგარეშეა. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 4 საწარმოსთან ავტორიზაციის ვადით:

1. შპს დომუს კონსტრაქშენი (საიდენტიფიკაციო კოდი: 404908864) ობიექტების (მის: პოლიტოვსკაიას #12; გაზაფხულის ქ. #8 და მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა No 96), 26 პროფესიული სტუდენტი;
2. შპს ა-ლ.ფ.ა ჯგუფი (მისამართი: რუსთავი გაჩიანის გზა) საიდენტიფიკაციო კოდი: 404634909, 26 პროფესიული სტუდენტი;
3. შ.პ.ს. „დევარტ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405368917) ობიექტების (მის: ქ. თბილისი, სამურზაყანოს 39), 26 პროფესიული სტუდენტი;
4. შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა (ს/კ 404866123) ობიექტის (მის. ი. ჭავჭავაძის 33), 26 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 144 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” სულ განახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 8 პროფესიული მასწავლებელი, 2 მხოლოდ ზოგად მოდულებს და 1 მასწავლებელი ზოგადსაგ და დარგობრივ მოდულებსაც. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება გეგმავს ერთდროულად სწავლება განახორციელოს 3-3 ჯგუფად თითო ნაკადში, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, დაიწყო პროცესი, რომ გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, რაც დასრულდება 1 თვის პერიოდში. აღნიშნული კი დაწვრილებით არის გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო

რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ: 406290954) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1).

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში, 3.1, 2.2 (პროგრამა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“) და 5.2 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 22 ოქტომბერი.

მეორე საკითხი: შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცხილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში ვიზიტის შესახებ, შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, ჯგუფის წევრები: ნანა შარაბიძე, მიხეილ ხუციშვილი, თამთა კვინიკაძე) მიერ 2024 წლის 16, 17 და 18 ივლისს შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში (მის. ქ. ბაღდათი შოთა რუსთაველის ქ. N 24) ავტორიზაციის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და

სარგებლობის წესი, რომელთა შესაბამისად, არსებული შიდა და გარე სივრცეები მოწყობილია ინვენტარით და სრულად და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის. აკადემიის შენობის ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობის სივრცეების დასუფთავებას ტექნიკურად უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომლის სამუშაო დარეგულირებულია თანამდებობრივი ინსტრუქციით და ხელშეკრულებით. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა. აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქციებია: სამუშაო სივრცეში მყოფ პირთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხის შემცველი ფაქტორებისგან პროფესიულ სტუდენტთა/ვიზიტორთა/დასაქმებულთა და სამუშაო/სასწავლო/მოსასვენებელ/სხვ სივრცეში მყოფ სხვა პირთა დაცვა, შრომის უსაფრთხოების მიზნით, აკადემიის რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, შრომის უსაფრთხოების მიზნით, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების გეგმის შემუშავება, აკადემიის პერსონალის/პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟი და ტრენინგების ჩატარება სახანძრო უსაფრთხოების, საკანონმდებლო მოთხოვნების, პირველადი გადაუდებელი დახმარების (შესაბამისი კომპეტენციის პირის მოწვევით) და სხვა მოდულების ფარგლებში, შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავება და სხვა. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. აკადემიის ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

აკადემია აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. აკადემიაში, როგორც ფიზიკურ ასევე უკაბელო ქსელში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კომპიუტერების და მოწყობილობების დამისამართება ხდება როუტერში, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი. საქმისწარმოების წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და აკადემიის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან. აკადემიაში საქმისწარმოებას ხელმძღვანელობს კანცელარია. საქმისწარმოების წესით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება აკადემიაში შექმნილ და შემოსულ ყველა ტიპის დოკუმენტაციაზე, მათ შორის - ელექტრონულზე.

აკადემიას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: შემოსავლების ნაწილს (მიმდინარე შემოსავალი, აკადემიის არსებული ბიუჯეტი, მოსალოდნელი სადამფუძნებლო შენატანი, დამფუძნებელთა შენატანი მატერიალური ფორმით), გაწეულ ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ ხარჯებს (სარემონტო მასალების ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ტექნიკური ინვენტარის შეძენის ხარჯი, საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯი, სახელფასო ხარჯი, საგადასახადო ხარჯი, მომსახურების ხარჯი, თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, აღნაგობის უფლების საზღაური, სხვა ხარჯები), საპროგნოზო შემოსავლებს (სასტუმრო მომსახურების სწავლებიდან შემოსავალი,

კულინარული ხელოვნების სწავლებიდან შემოსავალი, შემოსავალი სხვა მოკლევადიანი სასწავლო პროექტებიდან, მოსალოდნელი სადამფუძნებლო შენატანი მიმდინარე რემონტის დასასრულებლად), ხარჯების ძირითად ნაწილს/ საპროგნოზო ხარჯებს (პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარების და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი), პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი და პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეული და მასალების ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს შემოსავლის სახეს და ხარჯების ლარში დაანგარიშებას. აკადემიის ბიუჯეტის და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმის პროექტებს შეიმუშავებს აკადემიის ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი). ბიუჯეტის პროექტს განიხილავს პარტნიორთა კრება და ამტკიცებს დირექტორი. ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ფინანსურ მენეჯერს (ბუღალტერს) რომელმაც აგვიხსნა საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენის მექანიზმები. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ დამკვეთის წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს სააუდიტორიო ფართი, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „სასტუმრო დინასტიასთან“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. პროგრამის პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია პარტნიორი ორგანიზაცია „კურორტი საირმე“, რომელიც სასტუმრო მომსახურების პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს აკადემიასთან ერთად, რეალურ სამუშაო გარემოში. აკადემიას პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო - 5 A გარემო, რომელიც აღჭურვილია 25 სკამით და მაგიდით და ერთი მასწავლებლის მაგიდით, კომპიუტერით და პროექტორით, ასევე 1 B გარემო 27 კომპიუტერით. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. დაწესებულებას მოდულების: სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება- განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალებები და აუდიტი და სასტუმრო დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტი საირმესთან. მემორანდუმით განსაზღვრულია კვირაში 10 საათი, 25 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის უზრუნველყოფა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურება“ სულ განახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია

სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურება“ აქვს განხორციელების გეგმა და სასწავლო კალენდარი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების, პროგრამის განმახორციელებლების, დამსაქმებლების ჩართულობით. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. აკადემიას აქვს შენობის მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნები, უსაფრთხოების მართვის გეგმა, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დაწესებულება დაცულია კერძო კომპანიის უსაფრთხოების სისტემით, დამონტაჟებულია გარე და შიდა პერიმეტრის მარეგულირებელი ვიდეო თვალი, უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვის და რეაგირების სისტემით. აკადემიაში ხელმისაწვდომია პირველადი გადაუდებელი დახმარება და აკადემიას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“

აკადემიას პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო - 5 A გარემო, რომელიც აღჭურვილია 25 სკამით და მაგიდით და ერთი მასწავლებლის მაგიდით, კომპიუტერით და პროექტორით, ასევე 1 B გარემო 27 კომპიუტერით. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. აკადემიას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან. მემორანდუმით განსაზღვრულია კვირაში 10 საათი, 25 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის უზრუნველყოფა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს არეალთან სტუმარ-მასპინძლობის ელექტრონული სისტემით სარგებლობაზე - არეალის კუთვნილი ვებ-პლატფორმა, my.area.ly და ელექტრონული პროდუქტებით („არეალით სარგებლობა“) სარგებლობაზე. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „თხმელის ციხესთან“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. აღნიშნული განხორციელდება პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შპს „თხმელის ციხის“ სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - შესაბამისი სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ სულ განახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, კულინარიის ხელოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული პროგრამის მთლიანად რეალურ პირობებში განხორციელება.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ძირითად შენობაში არ აქვს C გარემო, ამიტომ იჯარით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული რესტორანთან, სადაც ყველა პრაქტიკული კომპონენტი არის გატანილი. რესტორანთან შეთანხმებულია ის საათები, რომლითაც სტუდენტებმა უნდა ისარგებლონ პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად, რაც ხელშეკრულებაშიც არის გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული რესტორანი მოქმედია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ობიექტი დაწესებულების განკარგულებაშია დილის საათებიდან შუადღემდე, რაც ხელშეკრულებაშიც არის დაფიქსირებული. პრაქტიკის ობიექტი მდებარეობს კოლეჯთან ახლოს. სამომავლო გეგმების გათვალისწინებით დაწესებულებას ვანის ტერიტორიაზე აქვს დიდი ფართი, სადაც იგეგმება სასტუმრო კომპლექსის აშენება თავისი რესტორნით, სადაც გადაინაცვლებს ეს პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს მსოფლიო განათლების აკადემიას(ს/კ: 425060827) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო. შპს მსოფლიო განათლების აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

მესამე საკითხი: შპს "თენექსის" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს "თენექსში" ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დირექტორის 2024 წლის 27 ივნისის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: ელენე კაკაბაძე (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), ლელა მაისურაძე და ზურაბ მესხიძე (დარგის ექსპერტები), განახორციელა შპს „თენექსი“ - ს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი (მის: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38) განხორციელდა 2024 წლის 19, 20 და 21 ივლისს. მათ შორის, „გრაფიკული დიზაინი“ -ს პროგრამის ფარგლებში დარგის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდა 2024 წლის 20 ივლისს, ხოლო „Front-end დეველოპმენტი“-ს პროგრამის შესაფასებლად დარგის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდა 2024 წლის 21 ივლისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ 2024 წლის 20 ივნისის №10/25 და 2024 წლის 25 ივნისის №10/26 კორესპონდენციებით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებები. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „გრაფიკული დიზაინი“ და „Front-end დეველოპმენტი“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუთა ნაწილი განხორციელდა

დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით. ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროგრამების: „გრაფიკული დიზაინი“ და „Front-end დეველოპმენტი“ მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართობით, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტებით ახალგაერმონტებული, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების პოლიტიკა, ინვენტარიზაციისა და მომარაგების მექანიზმები. შპს - „თენექსში“ მატერიალური რესურსის პოლიტიკა განსაზღვრავს ინვენტართან, მასალა-ნედლეულთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, რომელიც უნდა განხორციელდეს კომპანიის ძირითადი საქმიანობის ფარგლებში. კომპანია მატერიალური რესურსით მომარაგებას უზრუნველყოფს ეგრეთ წოდებული „აუთსორსით“ ან/და მოწვეულ სპეციალისტთან მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. სასწავლო პროცესის მასალა - ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის წესით განსაზღვრულია მასალის, მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისი წესი და პროცედურა, პასუხისმგებელი პირების მიწოდებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ იმ პროგრამებზე რომლებსაც ახლა იმატებს დაწესებულება მასალა - ნედლეული მინიმალურია, თუმცა დაწესებულებას სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებული აქვს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. შენობა-ნაგებობაში გამიჯნულად არის მოწყობილი ახალი გარემონტებული სანიტარული კვანძები, შესაბამისი მინიშნებებით, მუდმივი წყლით, არის უწყვეტი განათება, ვენტილაცია, შშმ პირთათვის გადაადგილებისა და ადაპტირებული სველი წერტილების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებულია მომხმარებლისთვის პროგრამის შესაბამისი და სათანადო მატერიალური, ელექტრონული სასწავლო რესურსი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესები. დაწესებულებას ჰყავს ბიბლიოთეკარი. დაწესებულებას აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგ (Openbiblio) და უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის გადამზადება აღნიშნული მიმართულებით. წარმოდგენილია გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

კომპანიაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ, IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია ადმინისტრაციული პროცესებისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. დაწესებულების

IT ინფრასტრუქტურის ფლობა დადასტურებულია დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, შპს თენექსა და შპს „პეას“, ასევე შპს თენექსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით. ქირავნობის ხელშეკრულების №3 დანართით წარმოდგენილია შპს „სქაიტელთან“ - გაფორმებული 2023 წლის 26 ივნისის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილია შპს თენექსისთვის ინტერნეტ მომსახურება. ადგილზე ვიზიტით დადასტურებულია დაწესებულებაში ინტერნეტის არსებობა, მათ შორის, უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ დაფარვა. დაწესებულება სისტემატიურად განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულებაში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „სისტემა“ eDocument. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელექტრონულ საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ატვირთვის ვადები და დადასტურებულია მათი საქმისწარმოების წესთან შესაბამისობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამტკიცებული დოკუმენტები; „შპს „თენექსი“-ს ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა“ და „ბიუჯეტის/ფინანსური ანგარიშგების ფორმა“ და კომპანიის საპროგნოზო ბიუჯეტი. ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულში გათვალისწინებულია ფინანსისტიკის პოზიცია, რომლის მოვალეობებია: სააღრიცხვო პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობა, ფინანსური რისკების გათვლა და ანალიზი; ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტის მომზადება; პროგრამის ბიუჯეტის პროექტის მომზადება შესაბამისი პირებისაგან ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე. დაწესებულება ახალი დაფუძნებულია, პასუხისმგებელი პირის განმარტებით რთული დასადგენია პირველი გამოცხადებისას რამდენი იქნება ჩარიცხულ პირთა რაოდენობა, რის მიხედვითაც ანგარიშდება შემოსავლები და მათი გახარჯვის ნაწილი. კომპანიის ერთწლიან საპროგნოზო ბიუჯეტში, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამოცანების შესრულებას, პირველ წელს არასაკმარისი შემოსავლების შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამფუძნებლის/დირექტორის მიერ კაპიტალში შენატანის განხორციელება. მოწოდებული განმარტების თანახმად, საწყის ეტაპზე კომპანია ფუნქციონირებს დამფუძნებლის/დირექტორის მიერ კაპიტალში შენატანით. ერთწლიან საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლებად გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ვაუჩერული და თანადაფინანსება. ასევე, იგეგმება არაფორმალური განათლების მიმართულებით კურსები. შესაბამისად, საოპერაციო ხარჯები მოცემულ ეტაპზე უზრუნველყოფილია და სამომავლოდაც უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური რესურსით. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

გრაფიკული დიზაინერის პროფესიაზე დიდი მოთხოვნაა ამ ეტაპზე შრომის ბაზარზე, ასევე, პროგრამა იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობასაც, მათ შორის, საერთაშორისო ბაზარზე. ისეთ ცნობილ საერთაშორისო „ფრილანს“ დასაქმების პლატფორმებზე, როგორიცაა „upwork“ და „freelancer.com“, აქტიურად არის მოთხოვნა გრაფიკულ დიზაინერებზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს. „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამისთვის აუდიტორიები განკუთვნილია ერთდროულად 200 პროფესიული

სტუდენტის საჭიროებაზე. კომპიუტერებით და საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილია აუდიტორიები - 8 B გარემო (მათ შორის, 4 გარემო საერთოა Front-end დეველოპმენტის პროგრამასთან) , 2 A გარემო და ერთი სააქტო დარბაზი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობისთვის). დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილია შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით (10 წლის ვადით). სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში, ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. განმახორციელებლებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და სხვა პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზები, საკანონმდებლო ბაზა (www.matsne.gov.ge). ასევე, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტების მხარდაჭერის და პიროვნული განვითარების სერვისები, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობაა 25, საკმარისი ადამიანური რესურსი, განმახორციელებელი პირების გონივრული დატვირთვა, ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობა - უზრუნველყოფს პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელებას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკულ დიზაინს“ ახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - Front-end დეველოპმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტის“ შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს მის თავსებადობას თენექსის მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, თენექსის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი. თენექსის ინფრასტრუქტურა მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროგრამისთვის აუდიტორიები განკუთვნილია ერთდროულად 300 პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე. კომპიუტერებით და საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილია აუდიტორიები - 8 B გარემო (მათ შორის, 4 გარემო საერთოა „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამასთან) , 2 A გარემო და ერთი სააქტო დარბაზი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობისთვის). დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ Front-end დეველოპმენტი“ განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილია შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით (10 წლის ვადით). სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში, ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტს“ ახორციელებს 14 პროფესიული მასწავლებელი. დარგობრივი მოდულების თეორიულ და პრაქტიკულ თემატიკას ასწავლიან პრაქტიკოსი, დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის პირები და პროგრამის ხელმძღვანელი.

სასწავლო კვირის დატვირთვა სტუდენტებისთვის არის 30 საათი, კვირაში 5 დღე, დღეში 6 საათი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იყენებდა თუ არა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი აღნიშნულ სივრცეებს თავისი სასწავლო მიზნებისთვის.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ ფართს უნივერსიტეტი თავისი მიზნებისთვის არ იყენებდა, მეოთხე სართული სრულად ეთმობა მხოლოდ შპს თენექსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, აპირებს თუ არა დაწესებულება მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად დაწესებულების მიმართულებაა პროგრამირება, დიზაინი და მარკეტინგი, თუმცა სამომავლოდ იგეგმება სხვადასხვა მიმართულებების განვითარებაც, ასევე მოზადება/გადამზადების პროგრამების დამატებაც 2025 წლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თენექსის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს თენექსს (ს/კ: 405650549) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო. შპს თენექსს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 3**).

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მიმდინარე წლის 24 ივნისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიდან შემოსული წერილების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაჩქარებული წესით დამატების მიზნით წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N101 არის დაწესებულების ახალი მისამართი და ამ ლოკაციაზე დაწესებულებას მანამდე არ განუხორციელებია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ამდენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების პარალელურად დაწესებულებაში (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N101) ცალკე განხორციელდა მონიტორინგი და შემოწმების ფარგლებად განისაზღვრა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტები, ექსპერტები წარმოდგენენ მონიტორინგის დასკვნას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში 2 ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს მისამართზე, ქ. თბილისი, გორგასლის №101, რომელიც დაწესებულების საკუთრებაშია. დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფაქტების ფლობა: ფოიე, აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცეები,

დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახი, არქივი, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი.“ რის მიხედვითაც, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ინსტიტუტმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის № MIA 1 24 01854417 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ 2019 წლის 15 მაისს ჩატარდა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, შემოწმების შედეგებზე შედგენილი იქნა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე. „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №309 დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებამდე ჩატარებული დეტალური და მიზნობრივი შემოწმებების საფუძველზე განსახორციელებელი საკონტროლო შემოწმება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე. ინსტიტუტმა წარმოადგინა რექტორის 2024 წლის 27 ივნისის №01-24/223 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი გასატარებელი ღონისძიების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისი, გორგასლის №101-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ, სადაც საბოლოო ვადად მითითებულია 2024 წლის 31 დეკემბერი.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დაიდოს სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა.

პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, დაწესებულებაში IT რისკების მართვას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დაწესებულებაში ჰყავთ იურისტი, რომელიც უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელი აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს „საქმიწარმოების წესი“, დადგენილია შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. დაწესებულების ორენოვანი ვებგვერდი <https://gipa.ge/> და სოციალური ქსელის გვერდი წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას და ძირითადად გააჩნია საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), ორივე პლატფორმის შემთხვევაში შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. დაწესებულებაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, Edoc თანამშრომლების საქმიანი კომუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისთვის, რაც მოიცავს წერილის, სამსახურებრივი ბარათის მიმოცვლას როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ისე საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა თუ სხვა ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო თუ ფინანსური კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ს/კ:204429341) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 ივლისის №855520 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 19 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, გორგასალის №101) „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება (შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“) ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მისამართზე, ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი წარმოდგენილია მისამართზე, ქ. თბილისი, გორგასალის №101.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.4 პროგრამაში ჩართული პერსონალის ძირითადი ნაწილი მათ შორის დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალად, შესაბამისად, მათი და სტუდენტების ჩართულობით (საშინაო დავალებები, საკურსო ნაშრომები, დავალებები კოლოქვიუმებისთვის, შიდა საუნივერსიტეტო სემინარები) და სალექციო მასალების (სილაბუსები, კურიკულუმები, პრეზენტაციები და სხვა), გამოყენებით შეიქმნას სასწავლო მეგზურები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებს, რამდენადაც ბიბლიოთეკაში დღეს წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად თარიღდება 2011-2016 წლებით.

2.4.1.5 მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მელვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, საავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში პროფესიული განათლების თვალსაზრისით GIPA გეგმავს არამართო უკვე არსებული პროფესიული პროგრამის (შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები) განხორციელებასა და შემდგომ განვითარებას, არამედ ახალი მიმართულებების დამატებასაც, სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს USAID - ის პროგრამასთან - „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ და ახორციელებს პროექტს „განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის მიმართულებით IV-V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასერტიფიკატო ტრენინგ კურსების შემუშავება, განხორციელება და ინსტიტუციონალიზება GIPA-ში“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში უნივერსიტეტთან ერთად ჩართული მხარეები არიან- პროფესიული უნარების სააგენტო, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია და დამსაქმებლები. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტის მიღება. მოდულების განხორციელებისათვის უნივერსიტეტს მოწყობილი აქვს A და C სასწავლო გარემო რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი. ასევე 2 A სასწავლო გარემო. უნივერსიტეტს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი აქვს მატერიალური და ფინანსური რესურსები, მოძიებული ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად ათვისების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ: შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“, შპს „ესკო-ეს-ის“, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“. პროგრამის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც ადეკვატურია პროფესიულ პროგრამაზე დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. პროგრამაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი რომლებიც ამავდროულად პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. მათი ცოდნა და გამოცდილება დასტურდება როგორც კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 4**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მექვესე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 ივლისის №855522 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 18 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, გორგასალის №101) „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება (შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ და შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“) ხოლო, ნაწილი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან შედგა ონლაინ გასაუბრება (შპს „ოპტიმალ გრუპი +“ და შპს „ექსპერტს ფორ სოლუშენს“) ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მისამართზე, ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი წარმოდგენილია მისამართზე, ქ. თბილისი, გორგასალის №101.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.4 პროგრამაში ჩართული პერსონალის ძირითადი ნაწილი მათ შორის დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალად,

შესაბამისად, მათი და სტუდენტების ჩართულობით (საშინაო დავალებები, საკურსო ნაშრომები, დავალებები კოლოქვიუმებისთვის, შიდა საუნივერსიტეტო სემინარები) და სალექციო მასალების (სილაბუსები, კურიკულუმები, პრეზენტაციები და სხვა), გამოყენებით შეიქმნას სასწავლო მეგზურები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებს, რამდენადაც ბიბლიოთეკაში დღეს წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად თარიღდება 2011-2016 წლებით.

2.4.1.5 მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მელვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, საავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ენერგომენეჯმენტი“

პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტის მიღება. უნივერსიტეტის რექტორის N 01-24/218 ბრძანებით, პროფესიული პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოიყო შესაბამისი აუდიტორიები. მოდულების განხორციელებისათვის უნივერსიტეტს მოწყობილი აქვს A და C სასწავლო გარემო რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი. ასევე 2 A სასწავლო გარემო. თითოეული აუდიტორია გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შემუშავებულია „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით. უნივერსიტეტს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი აქვს მატერიალური და ფინანსური რესურსები, მოძიებული ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად ათვისების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ: შპს „ოპტიმალ გრუპი +“, შპს „ექსპერტს ფორ სოლუშენს“, შპს „სიბიდი დეველოპმენტი“, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“, სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“. პროგრამის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც ადეკვატურია პროფესიულ პროგრამაზე დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. პროგრამაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო რესურსითა და ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება შესაბამის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს

შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია საბიბლიოთეკო რესურსის გაცნობის, გატანის, უკან დაბრუნების და სხვა საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით და აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტები განთავსებულია სხვადასხვა ობიექტებზე, მათ შორის აჭარაში, როგორ აპირებს დაწესებულება ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტის ტრანსპორტირებას პრაქტიკის ობიექტზე და რა ქმედებები არის ამისთვის გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამები საკმაოდ მოთხოვნილია. დაწესებულებას C გარემო სრულად აღჭურვილი აქვს ორივე პროგრამისთვის, როგორც ენერგომენეჯმენტის, ისე განახლებადი ენერგიებისთვის. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, კოლეჯი ითვალისწინებს ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. აჭარის წყლის ობიექტთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ობიექტზე გაყვანის წინ დგება ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება არის პროექტის ვადით გათვალისწინებული. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კოლეჯი, ხოლო საცხოვრებელს და კვებას დამსაქმებელი, რაც უპრეცედენტო შემთავაზებაა მათი მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 5**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 21 თებერვალი.

საბჭოს წევრი ვალერი გულბანი შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

მეშვიდე საკითხი: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმიჩია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ადმინისტრაციული წარმოების მიზანი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N 772122 -ის ბრძანების საფუძველზე „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში 2024 წლის 9 ივლისს (მის: ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ.11). დაწესებულება მდებარეობს გაპონოვის ქუჩის 11 ნომერში, მრავალსართულიანი შენობის მე-3 სართულზე. ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემო პირობებში და გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც აღწერილია შესაბამის პუნქტებში. ქუთაისის ლოკაციაზე შემოწმებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე პარტნიორ ორგანიზაციაში, სადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაა დაგეგმილი; მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების ფარგლებს ცდებოდა მე- 5 სტანდარტის შეფასება, დასკვნაში აისახა მე-5 სტანდარტის ფარგლებში გარკვეული ინდიკატორების აღწერა, რომლებიც კავშირში იყო წარმოების ფარგლებში განსაზღვრულ კომპონენტებთან. შემოწმებულ

იქნა სველი წერტილები, ლიფტი, A/B გარემოებები და ბიბლიოთეკა და გამოიკვეთა დაწესებულებაში საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს არ შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით, რადგანაც დაწესებულებას არ გააჩნდა შესაბამისი სამკითხველო დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს არ ექნებათ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება, რადგანაც საშტატო ერთეულითაც არ არის განსაზღვრული შესაბამისი პირი; გასაუბრებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკარის კომპეტენციას ითავსებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია პირადი საქმე და განსაზღვრული პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები; ექსპერტთა ჯგუფის ანალიზით დგინდება, რომ ეს პროცესი არ იყო წესრიგში; ექსპერტთა მოსაზრებით, არსებობს ეჭვი, რომ 4.1-ისა და 5.1 კომპონენტების გარკვეული ინდიკატორების მდგომარეობა, რომლებიც ბმაშია 2.2.1.5 ინდიკატორთან, სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით არ არის სრულ შესაბამისობაში. მიუხედავად იმისა რომ ექსპერტთა შემოწმების ფარგლებს ცდებოდა აღნიშნული ვიზიტი ექსპერტების მიერ დათვალიერდა ე.წ. სატვირთო ლიფტი და სველი წერტილები, რომელიც სრულიად შეუსაბამო იყო, რადგანაც სატვირთო ლიფტს არ გააჩნდა ერთი კედელი და მისი მუშაობის პროცესში გამოვლინდა არაუსაფრთხო გარემო-პირობები, ასევე არ იყო ადაპტირებული სველი წერტილები, კერძოდ, შესასვლელი კარის სიგანე არ შეესაბამებოდა ეტლით მოსიარულებათათვის სარგებლობის შესაძლებლობას, არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი პანდუსები. ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესია ჩატარდეს ვიზიტი 5.1 კომპონენტის ნაწილში, რადგანაც ეს კომპონენტი ცალსახად ბმაშია 2.2.1.6 ინდიკატორთან. გასაუბრება ჩატარდა როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან; გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს პიროვნება, რომელიც დაწესებულების თქმით არის ქუთაისის ლოკაციის მენეჯერი/ დირექტორის მოადგილე, რომელიც სტრუქტურის გადამოწმებით არ არის განსაზღვრული და ეჭვს აჩენს ის გარემოება, რომ რამდენად სწორად მიჰყავს საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის პროცესი; სასურველია დაწესებულებაში (ქუთაისის ლოკაცია) ასევე, შემოწმდეს მე-4 სტანდარტის კომპონენტები. ვიზიტის განმავლობაში საგანმანათლებლო პროცესი არ მიმდინარეობდა, რადგანაც დაწესებულება ამ ლოკაციაზე არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ჩატარდა გასაუბრება პროგრამის დამატებაზე პასუხისმგებელ პირებთან და შემოწმებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, ჩატარებული კვლევა და დადგენილ იქნა ზღვრული რაოდენობა.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.4.2.1 დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მიზნები არ აქვს განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა გადამოწმებით შეფასების სისტემა არ შეესაბამება ვალიდაციის წესებს და არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს; დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

2.4.2.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია ინდიკატორი 2.4.2.2-ის შესრულების პირობები ვალიდაციის ქრილში და არა ვერიფიკაციის ნაწილში, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეჭვს აჩენს ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებაზე. დაწესებულებას სწორად არ აქვს დანახული ვალიდაცია და ვერიფიკაცია ურთიერთმიმართებით; თანმიმდევრობა და შინაარსი არ არის თანხვედრაში. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის

სრულყოფილად წარმოდგენილი და მისი შემსრულებლის შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით იყო არ არის სტანდარტი დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ ქუთაისის ლოკაციისათვის პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვროს სხვა პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ ორი (2) თვის განმავლობაში დანიშნავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს; ექსპერტთა შეფასებითა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ხარვეზი შეიცვალა შესაბამისობის რეკომენდაციით და ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად შეფასებული.

2.4.2.4. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს აქტივობები მექანიზმებში შეფასების შედეგების ანალიზისა და ანგარიშგების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილ შესაბამისობაშია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაამზადოს მასწავლებლები პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

2.2.1.5 გამოიკვეთა, რომ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს არ შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით, რადგანაც დაწესებულებას არ გააჩნდა შესაბამისი სამკითხველო დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს არ ექნებათ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა, რადგანაც საშტატო ერთეულითაც არ არის განსაზღვრული შესაბამისი პირი; ექსპერტთა შეფასების ფარგლებში არ იყო განსაზღვრული მე-4 და მე-5 სტანდარტი, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა საერთო მიმოხილვაში აღწერა დამდგარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია და დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია განსაზღვროს ადაპტირებული სამკითხველო დარბაზი და კომპეტენტური პირი.

2.2.1.6 სსიპ სპორტის კოლეჯს ქუთაისის ლოკაციაზე არ აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები; დაწესებულება მრავალსართულიანი შენობის მე-3 სართულზე მდებარეობს, სადაც განთავსებულია ლიფტი, თუმცა მისი გადაადგილების უსაფრთხოება ეჭვქვეშაა, რადგანაც მისი მდგომარეობა არ შეესაბამება ექსპლუატაციის წესებს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა შეფასების ფარგლებს ცდებოდა აღნიშნული გარემოებების შემოწმება. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული საკითხების მოწესრიგება.

2.4.1.5 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებაში განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომლის შედგენის პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია და ერთობლივად მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები.(დეტალები იხ. ინდიკატორის აღწერაში).

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის საფუძველზეც გარკვეული ხარვეზები (2.2.1.4 და 2.4.2.4) გადადის შესაბამისობის რეკომენდაციაზე, თუმცა ინდიკატორები: 2.4.2.1 და 2.4.2.2 რჩება ხარვეზად არასათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის საფუძველზე; ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების გადამოწმებით შესრულებულია და ხარვეზი გაუქმდა. ინდიკატორი 2.1.1.3. -ზე გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია, რაც არგუმენტირებული პოზიციის ანალიზისა და მტკიცებულებების გადამოწმებით შესრულებულია და ამოღებულ იქნა IV პუნქტიდან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სპორტის ინსტრუქტორი“, რომელიც შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 18.04.2023N03-06 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორი“ განხორციელების მიზანშეწონილობა, რომელიც გამომდინარეობს საქართველოში პროფესიული კადრების არსებობის, საჭიროებიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლეჯი მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებლებთან და ასევე წარმოდგენილი აქვთ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისა და არგუმენტირების ცხრილი (დანართი 4). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორი“ განხორციელება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობებს და სხვ. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 40 ქუთაისის ლოკაციაზე (ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქუჩა 11) სწავლებისათვის , თუმცა განაცხადში მითითებული აქვს 80 სტუდენტი, რაც ტექნიკური უზუსტობაა, რომელიც დასტურდება გასაუბრებით; დაწესებულებას სწავლება განსაზღვრული აქვს ცვლებში, ჯგუფში 20-20 სტუდენტი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ იქნა სასწავლო აუდიტორიებისა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა; კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში - პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით დაწესებულებას მითითებული აქვს 80, როდესაც ბრძანებით ზღვრული რაოდენობა ქუთაისის ლოკაციისათვის განსაზღვრული აქვს 40 პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური

უზუსტობა. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღწერილია ტექნიკური უზუსტობის დადგენა და გასწორების შესახებ ინფორმაცია. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორი“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სპორტის ინსტრუქტორი“ სულ ახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 9 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

სპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თავი მე-8, მუხლი 25-ში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ, „პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი ან კოლეჯის წარმომადგენელი ან დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, დარგობრივი კომპეტენცია. მისი კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს“. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპეტენტური პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, თუმცა ეს პირი ხელმძღვანელია თბილისის ფილიალისთვისაც და მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ის უზრუნველყოფს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ვერ შეძლებს უხელმძღვანელოს პროგრამას ქ. ქუთაისის ფილიალისათვის. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაშიც და ა.შ. რაც პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ის ვერ შეძლებს ამ პროცესის წარმართვას ქუთაისის ფილიალისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ ორი (2) თვის განმავლობაში დანიშნავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს; ექსპერტთა შეფასებითა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ხარვეზი შეიცვალა შესაბამისობის რეკომენდაციით და ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად შეფასებული.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა

საბიბლიოთეკო სივრცე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით. გამოიკვეთა, რომ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს არ შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით, რადგანაც დაწესებულებას არ გააჩნდა შესაბამისი სამკითხველო დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს არ ექნებათ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება, რადგანაც საშტატო ერთეულითაც არ არის განსაზღვრული შესაბამისი პირი; ექსპერტთა შეფასების ფარგლებში არ იყო განსაზღვრული მე-4 და მე-5 სტანდარტი, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა საერთო მიმოხილვაში აღწერა დამდგარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია.

საგანმანათლებლო პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადობის განსაზღვრა ბუნდოვანია, ვინაიდან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილი არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, არ არის პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრული, არც რენტაბელობის ზღვარია დადგენილი და პროგრამით განსაზღვრული მოდულების განფასებაც არ არის დადგენილი; დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ინდიკატორის მოთხოვნები დადებითად შეეფასებინა. სპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თაობაზე, თუმცა უმჯობესია დაწესებულებამ დააზუსტოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სპორტის ინსტრუქტორი“, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ და „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ კოლეჯში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, თუმცა დაწესებულებას ამ ეტაპისათვის ჯერ არ ჰყოლია სსსმ/შშმ სტუდენტი. ექსპერტთა მოსაზრებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „ა.ი.ი.პ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“ „ა.ი.ი.პ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლასთან“ და „ა.ი.ი.პ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლასთან“ და ამ ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული აქვს 20-20 სტუდენტის ერთდროული მიღება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების შესაბამისად, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული კვირაში რამდენი საათი არის დათმობილი პროგრამით განსაზღვრული მოდულებისათვის; უმჯობესია დაწესებულებამ დააზუსტოს მსგავსი გარემოებები ხელშეკრულებაში. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ვერ ცნობენ ხელშეკრულების პირობებს და ცალსახად ექვს ჰბადებს შეთანხმების სიზუსტეზე; დაწესებულებას მიეცა

რეკომენდაცია ხელშეკრულებაში განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომლის შედგენის პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია და ერთობლივად მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, თუმცა არ არის სრულყოფილად გაწერილი ვალიდაციის პროცესი; ამის გარდა, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მუხლი 27. შეფასების ინსტრუმენტისა და კალენდარული გეგმის შემუშავება, პუნქტი 2 ბუნდოვანია, რადგანაც სასწავლო პროცესის მენეჯერი შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის ვერიფიკაციის ჯგუფს წარუდგენს, რომელიც დასტურდება ხელმოწერით, ამ ნაწილში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესს უნდა წარმართავდეს და ხარისხის მართვის მენეჯერი - ვერიფიკაციის პროცესს. პუნქტი 5 -იც ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას; კერძოდ, როგორც პუნქტში (N5) აღწერილია: „დაუშვებელია ვერიფიკაციის ჯგუფთან შეუთანხმებელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება“; ცნობილია, რომ ვერიფიკაცია დგება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასრულების შემდგომ, რამდენიმე მოდულის, რამდენიმე სწავლის შედეგების ერთობლივი შეფასებით, რაც ცალსახად ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევაა; დაწესებულებას სხვადასხვა დოკუმენტებში აქვს განსაზღვრული ვალიდაცია და ვერიფიკაცია, მაგრამ არ არის სწორი მიდგომები გათვალისწინებული; როგორც 2.4.2.1 ინდიკატორი გვეუბნება დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის, მნიშვნელოვანია რომ ის რეგულირდებოდეს შესაბამისი აქტით. გარდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა, აღნიშნული რეგულაცია ასევე უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული უნდა იყოს: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენებოდეს (უკვე გამოყენებული თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება, რაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წელით განსაზღვრული დანართი N 2 (შეფასება)-ით არ არის გათვალისწინებული და ბუნდოვანია, რაც ეჭვს აჩენს მის სისწორეში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მიზნები არ აქვს განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა გადამოწმებით შეფასების სისტემა არ შეესაბამება ვალიდაციის წესებს და არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს; დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე (სპორტის კოლეჯი (sportcolle.ge)) განთავსებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“, სადაც მუხლი 7-ში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; ასევე წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის პროცესის სქემა, ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც შეუვსებელია და ანალიზის გაკეთება შეუძლებელია; „ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში“, კერძოდ, მუხლი 7-ში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, სადაც იკითხება: პუნქტი 8: „ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებულ/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს - განმახორციელებელს უკუკავშირს“, თუმცა ამის შემსრულებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - “ვერიფიკაციის პროცესის სქემა” არის სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც არის

ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც ვერიფიკაციის ნაწილში სასწავლო პროცესი ვერ იქნება მონაწილე ან ეტაპზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის მართვის მენეჯერს წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის წლიური გეგმა, სადაც გაწერილი აქვს მხოლოდ ერთი მოდული „მეწარმეობა“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს სექტემბრის თვე, თუმცა არა შესაბამისი წესების დაცვით; კერძოდ, ცნობილია, რომ ვერიფიკაცია დგება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასრულების შემდგომ, რამდენიმე მოდულის, რამდენიმე სწავლის შედეგების ერთობლივი შეფასებით, რაც ცალსახად ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევაა. გარდა ამისა, ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებათა შესწავლითა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან და სასწავლო პროცესისა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტიც, კერძოდ, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტში ვერიფიკაციის რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენის ეტაპზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, როცა სასწავლო პროცესის მენეჯერი თვითონ ვალიდაციის პროცესის ხელმძღვანელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვალიდაციის პროცესი კოლეჯს ნამდვილად გაწერილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებში და ეს მექანიზმები არსებობს დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ ქუთაისში პროგრამა არ ხორციელდება, ასე, რომ 2.4 ქვესტანდარტის შეფასება ექსპერტების მხრიდან უნდა მომხდარიყო მექანიზმების საფუძველზე. კოლეჯი ვერიფიკაციას ვერ აჩვენებდა ექსპერტებს იმიტომ, რომ ვერიფიკაციის პროცესი დაწყებული არ არის, კოლეჯმა მხოლოდ გეგმა წარმოადგინა. მისი თქმით, დაწესებულებას ვერიფიკაცია ჯერ არ განუხორციელებია, იმიტომ, რომ გეგმის თანახმად მათ არჩეული ჰქონდათ მოდული რისკფაქტორიდან გამომდინარე, რომელსაც ახორციელებს ახალბედა მასწავლებელი, თუმცა მეწარმეობის დიდი გამოცდილება აქვს და შესაბამისად რისკფაქტორის გათვალისწინებით იქნა არჩეული აღნიშნული მოდული, რომლის სწავლა დამთავრდა 5 აგვისტოს და მექანიზმში გაწერილია, რომ ერთი თვის შემდეგ ყოველი მომდევნო თვის აღრიცხვამდე უნდა განხორციელდეს მოდულის სწავლის შედეგების ვერიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ წესშიც გაწერილია ეს და ნამდვილად ვალიდაციის ნაცვლად წერია ვერიფიკაცია, რაც არის შეცდომაში შემყვანი, იმიტომ რომ აქ საუბარი ნამდვილად ვალიდაციაზე იყო. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, კოლეჯი ეთანხმება ექსპერტებს იმ ნაწილში, რომ ვალიდაციის პროცესში ჩართული იყო ჯგუფის წევრად პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც, ასევე, ახორციელებდა რამდენიმე მოდულს და ამ მოდულების განხილვაში მიიღო მან მონაწილეობა, რაც რა თქმა უნდა იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, კოლეჯმა ეს ფაქტი გაწერა და გადაიხედება ვალიდაციის ჯგუფის შემადგენლობაც. რაც შეეხება ვერიფიკაციის პროცესს როგორც ექსპერტებმა განაცხადეს ვერიფიკაციის სქემა წარმოდგენილი, თუმცა მათ მიერ აღნიშნული იყო, რომ ეს დასკვნა არ არის შეესებრებული.

ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მათ არ დაუფიქსირებიათ, რომ კოლეჯს განმეორებით შეფასებაზე მექანიზმებში არ ჰქონდათ გაწერილი, უბრალოდ განმეორებითი შეფასების ინსტრუმენტში არ იყო აღწერილი აღნიშნული პროცესები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს არის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სადაც არ არის მითითებული განმეორებითი გამოცდის შესაძლებლობა, ვინაიდან კოლეჯს იმის ვალდებულება, რომ შეფასების ინსტრუმენტში გაწეროს განმეორებითი შეფასება, ნამდვილად არ

აქვს. რაც შეეხება იმას, თუ როდის უნდა ჩატარდეს ეს შეფასება გაწერილია მექანიზმში, რაც ხდება სტუდენტთა სასწავლო პროცესის ან მენეჯერთან ან უშუალოდ მასწავლებელთან შეთანხმებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ვინაიდან ძალიან დაწვრილებით გააკეთეს ანალიზი არსებული მდგომარეობისა, რაც არის კოლეჯში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კოლეჯს წინ აქვს ავტორიზაცია. რაც შეეხება საბჭოს გადაწყვეტილებას, როგორც იცით ექსპერტების მიერ დაფიქსირებული იყო ხარვეზი 2.4 კომპონენტში და საბჭომ ჩათვალა, რომ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით ეს ხარვეზი კვალიფიცირდება მეტწილი შესაბამისობით, გამომდინარე იქედან, რომ დასაბუთება რომელიც იყო გაკეთებული მექანიზმებთან დაკავშირებით ეყრდნობოდა პროგრამას. აქ საუბარია იმ რისკებზე, რაც მისი განხორციელების დროს შეიძლება წარმოიშვას, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა არ იყოს ხარისხის უზრუნველყოფა განხორციელებული ამ პროგრამაში, მაგრამ საბჭო თვლის, რომ ეს რისკები არ არის ძალიან კრიტიკული და რაც მთავარია გამოსწორებადია, ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ თვითონ დაწესებულებას აქვს გათვალისწინებული ეს. შესაბამისობის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არ იყოს სრულყოფილი, ძალიან მკაფიოდ ჩანს დაწესებულების მზაობა იმისა, რომ გამოასწოროს და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტში. მეორეს მხრივ ექსპერტების დასკვნაში ჩვენ კარგად დავინახეთ ის საფრთხეები, რომელიც შესაძლებელია დადგეს ქუთაისის ლოკაციაზე. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით 4.1 და 5.1 კომპონენტი არ იყო განხილვის საგანი, მაგრამ ექსპერტებმა ძალიან ყურადღებით განიხილეს, ლიფტის სურათები და ვიდეო, რომელიც ვნახეთ ძალიან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საბჭოზე, იმიტომ რომ ეს არის უსაფრთხოების წესები და მისი აბსოლიტურად იგნორირება დაუშვებელია. საბჭო დაწესებულებას აძლევს უფლებას ამ პროგრამის განხორციელებისა მონიტორინგი ჩანიშნით 2.4, 4.1 და 5.1 კომპონენტში. აღნიშნული მონიტორინგი ჩაინიშნება ძალიან შევიწროებულ ვადებში, იქედან გამომდინარე, რომ დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო გარემოში, ხარისხის ყველა პრინციპების დაცვით და ა.შ, ამიტომ კოლეჯს წინ ელის ძალიან სერიოზული სამუშაო განსაკუთრებით ქ. ქუთაისი ლოკაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, (ქ. ქუთაისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს

დანართით განსაზღვრული „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. ქუთაისი (დანართი 6). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ქ. ქუთაისის ლოკაციაზე 2.4, 4.1 და 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 16 დეკემბერი.

მერვე საკითხი: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ადმინისტრაციული წარმოების მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N 772110 -ის ბრძანების საფუძველზე „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით

განახორციელოს ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში 2024 წლის 11 ივლისს (მის: ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55). თბილისის ლოკაციაზე შემოწმებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე პარტნიორ ორგანიზაციაში, სადაც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაა დაგეგმილი; ასევე შემოწმებულ იქნა სველი წერტილები, ლიფტი, A/B გარემოები და ბიბლიოთეკა; გასაუბრება ჩატარდა როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან; ჩატარდა გასაუბრება პროგრამის დამატებაზე პასუხისმგებელ პირებთან და შემოწმებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, ჩატარებული კვლევა და დადგენილ იქნა ზღვრული რაოდენობა.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.4.2.1 დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მიზნები არ აქვს განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა გადამოწმებით შეფასების სისტემა არ შეესაბამება ვალიდაციის წესებს და არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს; დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

2.4.2.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია ინდიკატორი 2.4.2.2-ის შესრულების პირობები ვალიდაციის ჭრილში და არა ვერიფიკაციის ნაწილში, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეჭვს აჩენს ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებაზე. დაწესებულებას სწორად არ აქვს დანახული ვალიდაცია და ვერიფიკაცია ურთიერთმიმართებით; თანმიმდევრობა და შინაარსი არ არის თანხვედრაში. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი და მისი შემსრულებლის შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.4. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს აქტივობები მექანიზმებში შეფასების შედეგების ანალიზისა და ანგარიშგების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილ შესაბამისობაშია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაამზადოს მასწავლებლები პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

2.2.1.6 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია ხელშეკრულება გააფორმოს სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

2.4.1.5 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებაში განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომლის შედგენის პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია და ერთობლივად მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები.(დეტალები იხ. ინდიკატორის აღწერაში).

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის საფუძველზეც გარკვეული ხარვეზები (2.4.2.4) გადადის შესაბამისობის რეკომენდაციაზე, თუმცა ინდიკატორები: 2.4.2.1 და 2.4.2.2

რჩება ხარვეზად არასათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის საფუძველზე; ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების გადამოწმებით შესრულებულია და ხარვეზი გაუქმდა. ინდიკატორი 2.1.1.3. -ზე გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია, რაც არგუმენტირებული პოზიციის ანალიზისა და მტკიცებულებების გადამოწმებით შესრულებულია და ამოღებულ იქნა IV პუნქტიდან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობებს და სხვ. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 80 თბილისის ლოკაციაზე (ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55) სწავლებისათვის , თუმცა განაცხადში მითითებული აქვს 160 სტუდენტი, რაც ტექნიკური უზუსტობაა, რაც დასტურდება გასაუბრებით; დაწესებულებას სწავლება განსაზღვრული აქვს ცვლებში, ჯგუფში 20-20 სტუდენტი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ იქნა სასწავლო აუდიტორიებისა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა; კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში - პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით დაწესებულებას მითითებული აქვს 160, როდესაც ბრძანებით ზღვრული რაოდენობა თბილისის ლოკაციისათვის განსაზღვრული აქვს 80 პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღწერილია ტექნიკური უზუსტობის დადგენა და გასწორების შესახებ ინფორმაცია. ავტორიზაციის ექსპერტთა გადამოწმებით დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ მოიცავს ისეთ დარგობრივ მოდულებს, როგორიცაა ოლიმპიური მოძრაობა, გამოყენებითი ტანვარჯიში, სპორტის სახეობები, გამოყენებითი ცურვა, საწვრთნო და სპორტულ გამაჯანსაღებელი პროცესი და სხვა, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის შინაარსსა და სახელწოდებასთან .

ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და გარკვეული დარგობრივი მოდულების (ძირითადად თეორიული მოდულები) სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთანავე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრულ ორგანიზაციებში (C გარემოები); კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A/B გარემოებები და C გარემოებები შესაბამის ორგანიზაციებში, რომელიც დათვალიერებულ იქნა ადგილზე. სადაც განთავსდება 20-20

პროფესიული სტუდენტი. A/ B და C გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სპორტის ინსტრუქტორი“ სულ ახორციელებს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 16 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. სსიპ სპორტის კოლეჯს თბილისის ლოკაციაზე აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები; დაწესებულება მრავალსართულიანი შენობის მე-2 სართულზე მდებარეობს, სადაც განთავსებულია პანდუსები. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარტნიორ ორგანიზაციას რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება და განხორციელდება პრაქტიკული სწავლება, თბილისის ფილიალისთვის განსაზღვრულ ობიექტებს არ აქვთ სსსმ/შშმ პირებისათვის განსაზღვრული ადაპტირებული შესასვლელი, კერძოდ, შპს „არენას“ საცურაო კომპლექტში განთავსებულია კიბე, რომელიც არ იძლევა ადაპტირების საშუალებას; ასევე მეორე პარტნიორი ორგანიზაციის („სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“) ტანვარჯიშის ობიექტს, რომელიც მდებარეობს ახალგაზრდობის სააგენტოს შენობის მე-2 სართულზე არ გააჩნია ადაპტირებული ასასვლელი, თუმცა შენობაში განთავსებულია ლიფტი, რომელიც ვიზიტის პროცესში არ ფუნქციონირებდა; გასაუბრებისას დაგვიდასტურეს ლიფტის უახლოეს პერიოდში შეკეთება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან“ და „შპს არენასთან“, ამ ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული აქვს 20-20 სტუდენტის ერთდროული მიღება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების შესაბამისად, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული კვირაში რამდენი საათი არის დათმობილი პროგრამით განსაზღვრული მოდულებისათვის; უმჯობესია დაწესებულებამ დააზუსტოს მსგავსი გარემოებები ხელშეკრულებაში. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ვერ ცნობენ ხელშეკრულების პირობებს და ცალსახად ექვს ჰზადებს შეთანხმების სიზუსტეზე; დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებაში განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომლის შედგენის პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია და ერთობლივად მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, თუმცა არ არის სრულყოფილად გაწერილი ვალიდაციის პროცესი; ამის გარდა, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მუხლი 27. შეფასების ინსტრუმენტისა და კალენდარული გეგმის შემუშავება, პუნქტი 2 ბუნდოვანია, რადგანაც სასწავლო პროცესის მენეჯერი შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის ვერიფიკაციის ჯგუფს წარუდგენს, რომელიც დასტურდება ხელმოწერით, ამ ნაწილში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესს უნდა წარმართავდეს და ხარისხის მართვის მენეჯერი -

ვერიფიკაციის პროცესს. პუნქტი 5 -იც ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას; კერძოდ, როგორც პუნქტში (N5) აღწერილია: “დაუშვებელია ვერიფიკაციის ჯგუფთან შეუთანხმებელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება”; ცნობილია, რომ ვერიფიკაცია დგება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასრულების შემდგომ, რამდენიმე მოდულის, რამდენიმე სწავლის შედეგების ერთობლივი შეფასებით, რაც ცალსახად ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევაა; დაწესებულებას სხვადასხვა დოკუმენტებში აქვს განსაზღვრული ვალიდაცია და ვერიფიკაცია, მაგრამ არ არის სწორი მიდგომები გათვალისწინებული; როგორც 2.4.2.1 ინდიკატორი გვეუბნება დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის, მნიშვნელოვანია რომ ის რეგულირდებოდეს შესაბამისი აქტით. გარდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა, აღნიშნული რეგულაცია ასევე უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული უნდა იყოს: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენებოდეს (უკვე გამოყენებული თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება, რაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წელით განსაზღვრული დანართი N 2 (შეფასება)-ით არ არის გათვალისწინებული და ბუნდოვანია, რაც ეჭვს აჩენს მის სისწორეში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მიზნები არ აქვს განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა გადამოწმებით შეფასების სისტემა არ შეესაბამება ვალიდაციის წესებს და არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს; დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე (სპორტის კოლეჯი (sportcolle.ge)) განთავსებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“, სადაც მუხლი 7-ში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; ასევე წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის პროცესის სქემა, ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც შეუვსებელია და ანალიზის გაკეთება შეუძლებელია; „ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში“, კერძოდ, მუხლი 7-ში განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, სადაც იკითხება: პუნქტი 8: „ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებულ/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს - განმახორციელებელს უკუკავშირს“, თუმცა ამის შემსრულებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - “ვერიფიკაციის პროცესის სქემა” არის სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც არის ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც ვერიფიკაციის ნაწილში სასწავლო პროცესი ვერ იქნება მონაწილე ან ეტაპზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის მართვის მენეჯერს წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის წლიური გეგმა, სადაც გაწერილი აქვს მხოლოდ ერთი მოდული „მეწარმეობა“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს სექტემბრის თვე, თუმცა არა შესაბამისი წესების დაცვით; კერძოდ, ცნობილია, რომ ვერიფიკაცია დგება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დასრულების შემდგომ, რამდენიმე მოდულის, რამდენიმე სწავლის შედეგების ერთობლივი შეფასებით, რაც ცალსახად ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევაა. გარდა ამისა, ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებათა შესწავლითა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან და სასწავლო პროცესის ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტიც, კერძოდ, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტში ვერიფიკაციის რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენის ეტაპზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, როცა სასწავლო პროცესის მენეჯერი თვითონ ვალიდაციის პროცესის ხელმძღვანელია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. თბილისი (**დანართი 7**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ქ. თბილისის ლოკაციაზე 2.4 და 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის წარდგენა. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 16 დეკემბერი.

მეცხრე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინი მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანების #MES 724 0000632168 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება. პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 26 მარტს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: თინათინ მეფარიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის - ექსპერტი (თავმჯდომარე) და ნანა ვერულაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი). ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პსდ-ს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი, დაიგეგმა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გავესაუბრეთ პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ მასწავლებლებს. მოხდა პროგრამებთან დაკავშირებული მატერიალური რესურსის დათვალიერება და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლა, ასევე ბიბლიოთეკის ფონდის დათვალიერება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან. შემოწმდა დღის წესრიგით გაწერილი ყველა კომპონენტი. დღის ბოლოს ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს). ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა ვალერი გულბანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა იქნება 60.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს ერთი AC1 და ერთი B და ერთი AC2 გარემო. სასწავლო გარემოს მოდელი AC (2 გარემო): AC1 სააფთიაქო--ბიოლოგიური ლაბორატორია- განკუთვნილია 30+1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის, AC2 ქიმიურ- ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია- განკუთვნილია 30 +1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის, B - გარემო - განკუთვნილია 30+ 1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის. პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „პსპ ფარმასთან“ (მემორანდუმი N2024/01 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ“.10 მაისი 2024წ.) 60 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობას. პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 31 პირი, მათ შორის 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 19. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. საჩხერე (დანართი 8). გ. ადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეათე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ვასაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 6 ივნისის N632169 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - თეა ნარეკლიშვილი დაევალა ვიზიტი შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, მისამართი: ქ. საჩხერე, ივ.გომართელის ქ. #50ა, #52, მიმდინარე წლის 26 ივნისს, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება აკადემიის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ

დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ აკადემიის რექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A-C გარემო, B გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათვის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას <https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse>. საგამოცდო სივრცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა; მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები; პროგრამა იძლევა საშუალებას სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას. შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია(პირობები, დრო, აპელაციის პროცედურა და სხვ); პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას; თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს გამოცდას, თუ რომელიმე კითხვა დარჩა პასუხაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი; დასრულების შემდგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა , ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს .

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია A; B და C სასწავლო გარემო: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” -სთვის განსაზღვრულ A გარემოში განთავსებულია - 25 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების სტუდენტისთვის, ასევე მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და დაფა; 1 ცალი დემონსტრირების საშუალება. კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს წელიწადში 2-ჯერ, თითო მიღებაზე გეგმავს 25 მსმენელის ჩარიცხვას. სწავლა განხორციელდება შემუშავებული ცხრილის მიხედვით 2 ჯგუფად, თვითოეულ ჯგუფში იქნება 25-25 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას ვიზუალურად შეფასდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს შეუფერხებლად. B გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 25 პროფესიულ სტუდენტზე, აქვე დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა და

ვიზუალურადაც დაფიქსირდა, რომ B გარემოში შესაძლებელია კიდევ განთავსდეს კომპიუტერული მოწყობილობები და გარემოში ერთდროულად იქნან დაშვებულნი 25 სტუდენტზე მეტი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოშიც სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს შეუფერხებლად. C გარემოს სივრცე პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციელებლად მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. გარემო განკუთვნილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამისთვის. დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემო შესაბამისად არის აღჭურვილი უსაფრთხოების ყველა საჭირო მოწყობილობებით და დანადგარებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შ.პ.ს. „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“; შ.პ.ს. „პროფიუნიტი“ და „ჯორჯიან მანგანეცი“. პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი პრაქტიკის ობიექტზე ერთჯერადად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები. ხელშეკრულებები გაფორმებულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გამოუმუშაონ პროფესიულ სტუდენტებს სწავლის ის შედეგები, რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. საჩხერე (**დანართი 9**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო

მეთერთმეტე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2024 წლის 06 ივნისს გამოცემული N 632170 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ქ. საჩხერეში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვებტექნოლოგიები", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2024 წლის 26 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. საჩხერეში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების

წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა მიერ, საუკეთესო გამოცდილებად შეფასდა აკადემიის გუნდის მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და პროფესიული ზრდისკენ. აღსანიშნია, რომ აკადემია ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც 2019 წლის დეკემბერში გახდა ISO 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი, ხოლო 2018 წლის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აკადემიას მიენიჭა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული. კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში 2016-17 წლებში 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით 5 ვარსკვლავით. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, ასევე საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაცია. აკადემია თანამშრომლობს ორმოცდაათზე მეტ კომპანიასა და ორგანიზაციასთან. კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტთა სტაჟირებისა და მათი შემდგომ დასაქმების საქმეში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან „ვებტექნოლოგიები“ დაკავშირებით აღსანიშნია, რომ აკადემიაში შექმნილია ვებტექნოლოგიების სასწავლო საწარმო, სადაც გაწევრიანებულნი არიან როგორც აქტიური სტუდენტის სტატუსი მქონე პირები, ასევე კურსდამთავრებულები, ისინი აქტიურად მუშაობენ კერძო დაკვეთებზე და სტუდენტობის პერიოდშივე ქმნიან საკუთარ პორტფოლიოებს და იღებენ ანაზღაურებას.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები“

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში, გადამოწმდა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და დადგინდა რომ კოლეჯის მფლობელობაში, საჩხერის ლოკაციაზე, არსებული რესურსი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან და სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განსახორციელებლად, აკადემიაში არის 2-B გარემო, 1 - AC გარემო და 1 - A გარემო, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. B გარემო (ზოგადი წიგნიერების მოდულისთვის) აღნიშნულ გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება, თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%. B გარემო (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის) აღნიშნული გარემო სასწავლო გეგმის (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მოდულების ჭრილში) დატვირთულია ერთი ჯგუფის ფარგლებში 25%-ით, აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით ოთხი ჯგუფის მართვა. AC გარემო ინტეგრირებული მოდულების ”მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის (ქიმიის ლაბორატორია). A გარემო ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების (გარდა მეცნიერება და ტექნოლოგიებისა

ქიმიის კომპონენტისა) განხორციელებისათვის. აღნიშნულ გარემოში დატვირთულია საშუალოდ 20-25%, შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით 4-5 ჯგუფის მართვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივ B გარემოში განთავსებული კომპიუტერები არის მეცამეტე თაობის (ოპერატიული მეხსიერება 16გბ, 64 ბიტისანი ოპერაციული სისტემა). წარმოდგენილი რესურსი, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის. აქვე ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები, ვინაიდან გეგმავს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობა იგეგმება უსაფრთხო გარემოში პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, რომელიც გაკრულია B სასწავლო გარემოში, ქიმიურ ლაბორატორიაში პირველადი დახმარების წესები და ასევე მუშაობის წესები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქ. საჩხერე (**დ ანართი 10**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეთორმეტე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ - დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 5 ივლისს გამოცემული № 813632 ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ თბილისში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ დუალური პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (მისამართი: ქ თბილისი, ც. დადიანის ქ.28) 17 ივლისს წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის აკადემიის რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, პროფესიული განათლების პედაგოგებს, სასწავლო საწარმოს განმახორციელებლებს. ასევე ვიზუალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა როგორც ეკონომიკური, ასევე რესურსული მიზანშეწონილობის დადასტურება. შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა ისეთ სპეციალისტებზე როგორიცაა მეცალიბე, მეარმატურე, მებეტონე. დაწესებულებამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციას შორის, რომლის უმთავრესი მიზანი დარგობრივი გამოცდილების გაზიარება, კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაა; დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამ სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე სამშენებლო კომპანიასთან პრაქტიკული ნაწილის განსახორციელებლად, რომლებიც ასევე ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად. გასაუბრებებით გამოიკვეთა მათი მზაობა და მოტივაცია განახორციელონ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები სათანადო შედეგების მისაღწევად და კურსდამთავრებულთა დასასაქმებლად. დაწესებულებას აქვს ყველა სათანადო რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური და ფინანსური პროგრამის მიზნების მისაღწევად. დარგის ექსპერტმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაციები - 2.1.1.4 და 2.4.1.1. ინდიკატორებთან მიმართებაში. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში განახორციელა შესაბამისი ცვლილებები და წარმოადგინა შპს-ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N2/99 (17/07/2024) პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. განმავითარებელი რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ მოდულის „რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია“ სასწავლო რესურსის ჩამონათვალს დაემატოს რესურსი კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით.

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. განმავითარებელი რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ მოდული „რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები“, სასწავლო გეგმის მიხედვით, განხორციელდება კოლეჯში ორი წლის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტები სამუშაო გარემოში გავლენ 30-ე კვირიდან. მოდულის შინაარსის და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოდულის „რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები“ განხორციელდეს სასწავლო გეგმაში (დანართი1) ისე გაიწეროს, რომ სტუდენტები უკვე თეორიული ცოდნით აღჭურვილები გავიდნენ სამუშაო გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - “რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი”

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა განხორციელდება ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. N28 - ში და პარტნიორ კომპანიებში პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, AC და B გარემო. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“

პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სასწავლო საწარმოებთან შპს „აპარტ ქონი“ (ს/კ 402204413) -10 პროფესიული სტუდენტი, შპს „კერა ქონსტრაქშენი“ (ს/კ40029316) -15 პროფესიული სტუდენტი, შპს „ელემენტ ჰოლდინგი“ (ს/კ405519210)-15 პროფესიული სტუდენტი. გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416-ით განსაზღვრულ პროცედურებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 16 პროფესიული განათლების მასწვლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 7 - პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მთელი ერთი წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის სტანდარტის შემუშავების და ცვლილების ნაწილში. ვინაიდან საერთოდ არ იყო საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები დამტკიცებულ სტანდარტში ჩადებული, დაწესებულებას სთხოვეს, რომ მასწავლებლებთან ერთად დაენაწილებინა საათები მოდულის კრედიტებიდან გამომდინარე, თუ რამდენი საათი უნდა ყოფილიყო საკონტაქტო, რამდენი შეფასება და რამდენი დამოუკიდებელი. კოლეჯმა გააკეთა ყველა მოდულის ფარგლებში აღნიშნული საათების განაწილების სქემა, შემდეგ შეთანხმდა საწარმოებთან, რადგან ეს პროგრამა დუალურია და ყველა საკითხი მათთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული, შესაბამისად ეს ყოველივე გაიგზავნა უნარების სააგენტოშიც, რადგან უნარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემდეგ ამაზე იქნებოდა ვაუჩერული დაფინანსების ნაწილიც მიბმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, იყო თუ არა მათ მიერ გადანაწილებულ საათებში შეფასების საათები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გადანაწილებულ საათებში შეფასების საათებიცაა. ბოლო ინფორმაციით ითქვა, რომ ცვლილებები შევიდოდა ამ სტანდარტში, მოდულებში და აპირებდნენ რომელიღაც მოდულის გაუქმებას. რეალურად სანამ კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ შემოიტანდა 10 დღით ადრე დამტკიცდა ახალი ვერსია ჩარჩოსი თავისი მოდულებით. კოლეჯს ფაქტობრივად დროც კი აღარ ჰქონდა დარჩენილი, რომ თავიდან, კიდევ ერთხელ გადაეხედა, ვინაიდან სასწრაფოდ იყო შესატანი განცხადება ცენტრში დაჩქარებული წესით, რათა მიღება არ ჩავარდნილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ მოწესრიგებულიყო მოდულებში გათვალისწინებული საათების გადანაწილება და აუცილებლად გამოყოფილიყო შესაბამისი დრო შეფასების საათებზე, ამისთვის კოლეჯმა უნდა მიმართოს სააგენტოსაც, ვინაიდან მათ დაამტკიცეს აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის “რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული “რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი” - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. თბილისი (**დანართი 11**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეცამეტე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გიორგობიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიერ შპს ბიზნესისა და აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ადგილის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის ბ) და ე) ქვეპუნქტებით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“, „ბ.დ“ „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N632165 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - თამარ გიორგობიანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე) და გიორგი ნაჭყეაძე - დარგის ექსპერტი (წევრი), დაევა 2024 წლის 27 ივნისს, ვიზიტის განხორციელება ქალაქ საჩხერეში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, მისამართზე ი. გომართელის ქ. N50ა, N52). დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, შეისწავლა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დაათვალიერა ორგანიზაციის ვებგვერდი, რის საფუძველზეც შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის 2.2., 2.4, 5.1., 5.2 სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა, აზომვითი ნახაზი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის, ლიფტის ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტები. მართლობიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმარვის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამოების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც

მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილს (შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვა). ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ფარგლებში სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 1 ერთეული თეორიული სწავლების აუდიტორია (A სასწავლო გარემო), ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B სასწავლო გარემო), 1 ერთეული კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B/C სასწავლო გარემო) - კომპერაციული მიდგომით სწავლებისათვის. აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო რაოდენობის მაგიდებითა და სკამებით, პრინტერით, პროექტორით, დაფით, კარადითა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან - საჩხერის N1 და N2 საჯარო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების (მათ შორის ქართული ენის A2) განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში - 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის მოდულის განმახორციელებელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (ს/კ: 406056173) „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, ქ. საჩხერე (დანართი 12). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეთოდზე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 6 ივნისს გამოცემული № 632166 ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საჩხერეში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “აღმზრდელი“ ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ და ასევე ე ქვეპუნქტით განსაზღვრული ე.ა)და ე.ბ)კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შემოწმება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფართის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ახალი და თანამედროვე სასწავლო და სამუშაო პირობების შეთავაზება. ფართის ცვლილება განხორციელდა იმავე მუნიციპალიტეტში, ქ. საჩხერე, ივანე გომართელის #50ა, #52. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2024 წლის ივნისის თვეში და განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში 27 ივნისს ქ. საჩხერეში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, სტუდენტებს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს, პრაქტიკის განმახორციელებლებს. ასევე ვიზუალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების, ინფორმაციის მართვის, შეფასებების და ვერიფიკაციის მექანიზმები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის“ განხორციელებისათვის შექმნილია გაუმჯობესებული პირობები პროგრამის მიზნების მისაღწევად და სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის თანამედროვე და კომფორტული პირობების შესაქმნელად. ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ და ასევე ე)ქვეპუნქტით განსაზღვრული ე.ა)და ე.ბ)კომპონენტების შესრულება შესაბამისობაშია.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან იმ მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით, რაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, საერთო სარგებლობის სივრცეებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული აღჭურვილობით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 19:00-მდე გარდა დასვენების დღეებისა. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. აკადემიაში მომუშავე პერსონალისათვის განახლებად რეჟიმში ტარდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), გამოყოფილია თავშეყრის ადგილი, ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის

მექანიზმები. დაწესებულების შენობა- ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აკადემიაში შექმნილი ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფას. აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია A,B C, გარემოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულება პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმებს. ბიუჯეტის შემუშავების წესით ასევე განსაზღვრულია ის რისკები, რომელმაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა, მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში პროგრამის განხორციელების პროცესში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ჩამორჩება პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულ რენტაბელობის ზღვარს, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ, ისე რომ არ დაზიანდეს მათი კანონიერი ინტერესები. (ეს შესაძლოა იყოს დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა ამ პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, ან მობილობის შეთავაზება).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო - მეორე სართულზე შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია #13, მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის (22 პროფესიულ სტუდენტზე) ერთი ცვლის გათვალისწინებით. B სასწავლო გარემო - მეორე სართულზე აუდიტორია #16 - კომპიუტერული კლასი 30 პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე დაანგარიშებულია აღნიშნული გარემოს გამტარიანობა. პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან(ინფორმაციული წიგნიერების მოდულზე) ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. საჩხერის ბაღების გაერთიანებასთან (რომელშიც გაერთიანებულია 21 ბაღი), აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად, ჯამში შეუძლიათ მიიღონ 30 პროფესიული სტუდენტი. ამ ეტაპზე 13 სტუდენტი პრაქტიკას გადის #1 საბავშვო ბაღში, სადაც პროფესიული სტუდენტები გადანაწილებული არიან ოთხ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მონაცვლეობით, რაც საშუალებას იძლევა გაეცნონ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია სსსმ და (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები. პროგრამისთვის „აღმზრდელი“ დაწესებულება სარგებლობს ზოგადი უსაფრთხოების წესებით. პროგრამა არ საჭიროებს დამატებით რაიმე სახის სპეციფიურ უსაფრთხოების ზომებს. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია პრაქტიკის განმახორციელებელი, რაც ასახულია თანამშრომლობის მემორანდუმში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (ს/კ: 406056173) “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, ქ. საჩხერე (**დანართი 13**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეთხუთმეტე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „საექტონო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. საჩხერე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2024 წლის 6 ივნისს გამოცემული MES N 632171, ბრძანებების თანახმად (ცვლილება N651087 12.06.24) შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „საექთნო განათლება“ ადგილის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის ბ) და ე) ქვეპუნქტებით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“, „ბ.დ“ „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასწარ შეიკრიბნენ დისტანციურად და განიხილეს მნიშვნელოვანი ასპექტები. 2024 წლის 27 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ. საჩხერეში, გომართელის ქ. N50ა, N52, სადაც დაგეგმილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფართის ცვლილება. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს, პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი, დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულების ყოველი სივრცე აღჭურვილია სათანადო და საკმარისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულებამ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ფლობის დასადასტურებლად წარმოადგინა უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა, აზომვითი ნახაზი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობისა და ლიფტის ტექნიკური ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულების მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებელი მოდულის დაწყებამდე ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისა

და პროგრამაში შემაჯავლი მოდულების მასალა- ნედლეულის ჩამონათვალის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, მეორე და მესამე სართულზე განლაგებულია შშმ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია A,B C, გარემოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმარვის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: A სასწავლო გარემო, B სასწავლო გარემო. კლინიკური პრაქტიკისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან: - შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი. ს.ს.საჩხერის რაი საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება შპს ჯეო ჰოსპიტალს, რომელთაც ერთდროულად შეუძლიათ 42 პროფესიული სტუდენტის მიღება. ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში, შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 ზოგად მოდულს,

ხოლო 17 პროფესიულ მოდულს უძღვება. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი (ქ. საჩხერე).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (ს/კ: 406056173) „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, ქ. საჩხერე (**დანართი 14**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეთექვსმეტე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2024 წლის 06 ივნისს გამოცემული N632167 ბრძანების თანახმად, შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ქ. თბილისში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "ვებტექნოლოგიები", პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის" მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2024 წლის 24 ივნისს განახორციელა ვიზიტი, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (02/08/2020 წლის ბრძანება N 653481), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 120 -ით (იმიტირებულ გარემოში) მათ შორის - 90 ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა, რომლის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის

განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 63 პროფესიული სტუდენტის (63 იმიტირებული, მათ შორის 63 ინტეგრირებული) სწავლების შესაძლებლობას, რაც საერთო ჯამში მოიცავს 183 პროფესიულ სტუდენტს სწავლების იმიტირებული ფორმით, მათ შორის 153 -ს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 -ბ კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები“

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში, გადამოწმდა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და დადგინდა რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებული რესურსი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან და სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს მზარდი მოთხოვნა, რომლის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 63 პროფესიული სტუდენტის (63 იმიტირებული, მათ შორის 63 ინტეგრირებული) სწავლების შესაძლებლობას, რაც საერთო ჯამში მოიცავს 183 პროფესიულ სტუდენტს სწავლების იმიტირებული ფორმით, მათ შორის 153 -ს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განსახორციელებლად, გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემიაში არის 3 B გარემო, 1 AC გარემო და 1 A გარემო, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად: B გარემო (ზოგადი მოდული) - რომელშიც ხორციელდება მოდული „ინფორმაციული წიგნიერება“ სულ 5 პროფესიული პროგრამის ფარგლებში, თითოეულ პროგრამაზე მოდულის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%, B გარემო (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის), რომელიც გამოიყენება სასწავლო გეგმის (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მოდულების ქრილში) აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით ოთხი 30 სტუდენტისა და 1 ჯგუფის მართვა, 1 ჯგუფი არაინტეგრირებული, ხოლო სამი ჯგუფი ინტეგრირებული, გარემო 2 (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის). აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით მინიმუმ სამი 21 სტუდენტისა და 1 ჯგუფის მართვა. AC გარემო ინტეგრირებული მოდულების მეცნიერება და ტექნოლოგიები განხორციელებისათვის. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია ზოგადი ინტეგრირებული მოდულით - მეცნიერება და ტექნოლოგიები - განსაზღვრული სრული რესურსი. მათ შორის, გარემოში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, ონკანი, განთავსებულია მაშრობი კარადა, კარადები ქიმიური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით; რეფრაქტომეტრით, მიკროსკოპებით, სხვადასხვა ზომის ძაბრებით სხვადასხვა ქიმიური და ტექნოლოგიური ჭურჭლით, სასწორებით, კოლბებით, სინჯარებით, ტიგლებით, შტატივებით და სხვა ქიმიური ჭურჭლით და რეაქტივებით. ამ გარემოში განთავსებულია ასევე მულაჟები და ფიზიკის ხელსაწყოები. აღნიშნულ გარემო ერთი

ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 5-7 % , რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული ჯგუფების მართვისთვის. A გარემო აუდიტორია N5 -ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების (გარდა მეცნიერება და ტექნოლოგიებისა) განხორციელებისათვის. აღნიშნულ გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 20 %, რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული ჯგუფების მართვისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივ B გარემოში განთავსებული კომპიუტერები არის მეცამეტე თაობის (ოპერატიული მეხსიერება 16გბ, 64 ბიტანი ოპერაციული სისტემა). აკადემიაში შექმნილია ვებტექნოლოგიების სასწავლო საწარმო, სადაც გაწევრიანებულნი არიან როგორც აქტიური სტუდენტის სტატუსი მქონე პირები, ასევე კურსდამთავრებულები, ისინი აქტიურად მუშაობენ კერძო დაკვეთებზე და სტუდენტობის პერიოდიანვე ქმნიან საკუთარ პორტფოლიოებს და იღებენ ანაზღაურებას. წარმოდგენილი რესურსი, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები , სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 183 -ით იმიტირებული ფორმით განსახორციელებელ პროგრამაზე **(დანართი 15)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეჩვიდმეტე საკითხი: სსიპ კოლეჯი "სპექტრის" მიერ „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის“ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაწილება და/ან აწილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა სსიპ კოლეჯ "სპექტრში". ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 ივლისს (ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. No10). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა. შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „ინსი“, ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ მატერიალური რესურსი, სასწავლო გარემო. მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმების განხილვა, საგანმანათლებლო რესურსის არსებობის შესწავლა, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი და შესაბამისობის გეგმა, რომლის გათვალისწინებით დაკორექტირდა დასკვნა.

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები, რუსუდან გიგაშვილი და ვალერი გულბანი.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.7 დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული აქტივობის შესრულება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში.

ინდიკატორი: 2.4.2.1. დაწესებულებამ უზრუნველყოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.4.4.2 რეკომენდებულია კოლეჯმა განხორციელოს ვერიფიკაციის პროცესი, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს შეაფასოს რამდენად გამართული, ვალიდური, სანდო, მოქნილი და გამჭვირვალეა შეფასების სისტემა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“

დაწესებულებას პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებელის“ განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „ინსი“, რომელსაც სასწავლო საწარმოს სტატუსი მინიჭებული აქვს პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით „დაინტერესებული საწარმოებისათვის სასწავლო საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ“ 28/06/2024) მას მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, დუალური სწავლების ფორმით, საგანმანათლებლო პროგრამის - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ („სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფერო - რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება, კოდი 0732.3.8) განხორციელების უფლება სასწავლო საწარმოს სტატუსით 6 წლის ვადით. კვოტა განესაზღვრა 10 პროფესიული სტუდენტით. საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 (2022 წლის 9 აგვისტო) თანახმად (მუხლი 8) პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების ჯამს. აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას, რომელიც დაწესებულების განაცხადში მითითებულია 30 პროფ.სტუდენტი, ხოლო სასწავლო საწარმოსთან დადებულ ხელშეკრულებაში 15. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებამ უზრუნველყო ხელშეკრულების ცვლილება და დაკორექტირდა ზღვრული რაოდენობა 10 სტუდენტზე. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა კვოტა მითითებული იყო 15 პროფ. სტუდენტი, ხოლო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 30 პროფ. სტუდენტი, რაც ეწინააღმდეგებოდა კოლეჯის ზღვრული ოდენობის გათვლის პრინციპებს და აღნიშნული რაოდენობები ასევე აღემატებოდა შპს ინსისათვის მინიჭებულ უფლებას, ვინაიდან აღნიშნულ ორგანიზაციას მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი 10 პროფესიული სტუდენტის კვოტით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა წარმოდგენილ კვოტას აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ექსპერტთა შეფასებით კვოტა განისაზღვრა 10 პროფესიული სტუდენტით. კოლეჯმა წარმოადგინა დაკორექტირებული ხელშეკრულება, სადაც მიეთითა კვოტა 10 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია რამდენიმე გარემო. ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო რომელიც აღჭურვილია გარკვეული პროფესიული ინვენტარით მოდულებისთვის მოდულებისთვის, A გარემო, რომელიც სრულადაა აღჭურვილი ამ გარემოსათვის საჭირო ინვენტარით, მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება კომპიუტერული პროგრამის სწავლება. B გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომპაინი, 1 პროექტორი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომდგენელს, გეგმავდნენ თუ არა მომავალში სასწავლო საწარმოს დამატებას.

დაწესებულების განცხადებით, როცა მათ დაიწყეს კომპანიასთან ურთიერთობა, შეთანხმდნენ, რომ 15 ადამიანი ყოფილიყო ობიექტზე, მას შემდეგ, რაც საწარმოს სტატუსი მიიღო კომპანიამ, უკვე მიიღო 10 ადამიანზე, ამიტომ დაკორექტირდა შესაბამისად. დაწესებულება სამომავლოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე აპირებს ღია სივრცის მოწყობას, სადაც იქნება რკინაბეტონის მოწყობის პოლიგონი. ნებისმიერი საშიშროების შემთხვევაში, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი რამ მოხდება კოლეჯში, საშუალება ადგილზე შესაძლებელი იქნება ყველა მოდული გაიაროს სტუდენტმა და მივიდეს შედეგებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯ "სპექტრისთვის" „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "სპექტრს"(ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 16**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯ "სპექტრში" 2.2 და 2.4 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და ინფორმაციის წარდგენა საბჭოსთვის ბიუჯეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 28 ნოემბერი.

მეთვრამეტე საკითხი: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 24 ივლისის MES 3 24 0000899781 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 30 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი და სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 05.11.2024წ. ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან აღნიშნული ინდიკატორის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესრულების დრო, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდეს დაწესებულების ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №00005770 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისათვის მოწყობილი აქვს 2 A/C გარემო 35-35 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა/სკამით, კომპიუტერი/ციფრული სადემონსტრაციო საშუალებით და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით (ჯამში 70 პროფესიულ სტუდენტზე) და 4 - B გარემო, რომელშიც განთავსებულია 20-20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (ჯამში 80 პროფესიულ სტუდენტზე). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით კოლეჯის ადმინისტრაციამ კვოტად განისაზღვრა 125 პროფესიული სტუდენტი, უნდა დამატებით 140 სტუდენტი, გაზრდილი ზღვრული რაოდენობა გახდება 265

პროფესიული სტუდენტი (თითო მიღებაზე 70 პროფესიული სტუდენტი) რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 36 პროფესიული მასწავლებელი, 5 ინსტრუქტორი, 5 ინსტრუქტორ/მასწავლებელი. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებას პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 5 სამედიცინო კლინიკასთან: შპს. „ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს. „ქ.რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ გადაუმოწმებიათ დასაქმების მაჩვენებელი „საექთნო განათლების“ პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტის განმარტებით, დასაქმების მაჩვენებელი დოკუმენტურად არ მოუთხოვიათ, თუმცა განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საკმაოდ ბევრია დასაქმებული სტუდენტი. კარგი სტუდენტების უმრავლესობას პრაქტიკის ობიექტი ადგილზე ასაქმებდა კლინიკებში. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ორი საკმაოდ კარგი სტუდენტი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში თვითონ დაასაქმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (ს/კ: 434172584) „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 17**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეცხრამეტე საკითხი: . შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათვალისწინებული სისტემით. დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ცენტრალური გათვალისწინებული სისტემის მონტაჟი და სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 05.11.2024წ. ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან აღნიშნული ინდიკატორის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესრულების დრო, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდეს დაწესებულების ცენტრალური გათვალისწინებული სისტემით უზრუნველყოფა. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №00005770 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია შესაბამის აუდიტორიებში, კერძოდ, 4 - B გარემო, რომელშიც განთავსებულია 20-20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და C გარემო შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით კოლეჯის ადმინისტრაციამ კვოტად განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტი, უნდა დამატებით 80 სტუდენტი, გაზრდილი ზღვრული რაოდენობა გახდება 120 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 17 პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის

კოდექს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ განხორციელების მდგრადობა. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ახორციელებს კოლეჯის ბაზაზე. აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან, შესაბამისად არ ჰქონდათ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (ს/კ: 434172584) „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 18)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 22 აგვისტო.

მეოცე საკითხი: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

